ძალადაკარგულია
საქ. პრეზიდენტის
12/29/2004 N 623
ბრძანებულებით

# საქართველოს პრეზიდენტის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

**N15 2003 წლის 17 იანვარი ქ.თბილისი**

## ტრეფიკინგთან ბრძოლის 2003-2005 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველო გმობს ადამიანებით ტრეფიკინგს, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევა და ადამიანის პატივისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, აღნიშნავს, რომ ბოლო ხანებში ადამიანებით ტრეფიკინგთან დაკავშირებულ მოქმედებათა ზრდა აღინიშნება მთელ ევროპაში, რაც ხშირად უკავშირდება ორგანიზებულ დანაშაულს და აუცილებლად მიიჩნევს მის წინააღმდეგ საბრძოლველად ქმედით ღონისძიებათა განხორციელებას. ამ მიზნით:

1. დამტკიცდეს ტრეფიკინგთან ბრძოლის 2003-2005 წლების თანდართული სამოქმედო გეგმა.

2. სამოქმედო გეგმის განხორციელების კონტროლი დაევალოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს რუსუდან ბერიძეს.

*ედუარდ შევარდნაძე*

დამტკიცებულია

საქართველოს პრეზიდენტის

2003 წლის 17 იანვრის

N15 ბრძანებულებით

## ტრეფიკინგთან ბრძოლის 2003-2005 წლების სამოქმედო გეგმა

| ამოცანა | სტრატეგია | შემსრულებელი | ვადა |
|---|---|---|---|
| 1. საკანონმდებლო ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტრეფიკინგის მსხვერპლთა, | 1.განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის ექსპერტიზა ტრეფიკინგთან ბრძოლის | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 2003-2005 |

| | | | |
|---|---|---|---|
| განსაკუთრებით ყველაზე მგრძნობიარე და დაუცველი ჯგუფების –ქალების, მოზარდებისა და ბავშვების უფლებათა და ინტერესთა დაცვა | საერთაშორისო სტანდარტებთან მისი ჰარმონიზაციის მიზნით<br>2.მხარი დაეჭიროს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" პროექტს, რომელიც ტრეფიკინგის კრიმინალიზაციასა და ამ დანაშაულისათვის შესაბამის სანქციებს ითვალისწინებს | საქართველოს პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები, ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი კომისია | 2003-2005 |
| | 3. მომზადდეს "ტურიზმის რეესტრის შესახებ" კანონპროექტი, რომელიც შესაძლებელს გახდის იმ ლიცენზირებული, თუ არალიცენზირებული სააგენტოების გამოვლენასა და აკრძალვას, რომლებიც დაკავებული არიან სექსტურიზმითა და სხვა დანაშაულებრივი საქმიანობით | საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით | 2003 |
| | 4. განხილულ იქნეს "რეკლამის შესახებ" კანონში სათანადო ცვლილებები და დამატებების | საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, | 2003 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მომზადების საკითხი სპეციალური ლიცენზიის არმქონე დასაქმების სააგენტოების, საერთაშორისო გაცნობის ბიუროებისა და საშუამავლო ფირმების სარეკლამო განცხადებების გამოქვეყნების აკრძალვის შესახებ<br><br>5.გაღრმავდეს ევროპის საბჭოს ქვეყნებთან თანამშრომლობა კანონმდებლობის ჰარმონიზაციის და მისი განხორციელების გასაძლიერებლად. | საქართველოს ანტიმონოპო-ლიური სამსახური<br><br>საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | <br><br>2003-2005 |
| 2.ტრეფიკინგის პრევენცია | 1.მოეწყოს საინფორმაციო კამპანიები, რათა საზოგადოება გათვითცნობიერე-ბული იყოს სიტუაციების შესახებ, რომლებმაც შეიძლება ტრეფიკინგის დანაშაული გამოიწვიოს. ამ კამპანიების დროს ხაზი გაესვას, რომ ტრეფიკინგი გულისხმობს არა მხოლოდ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს, | მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სახალხო დამცველის აპარატი, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული სფეროების უსაფრთხოების დეპარტამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები | 2003-2005 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | არამედ ნებისმიერი სახით იძულებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას | | |
| | 2.საინფორმაციო კამპანიების მოეწყობა სექს-ტურიზმის წინააღმდეგ. ძალისხმევა, რათა აიკრძალოს სამუშაოს შემთავაზებელი არალიცენზირებული სააგენტოებისა და საერთაშორისო გაცნობათა ბიუროების მიერ რეკლამების განთავსება | საქართველოს ანტიმონოპოლი-ური სამსახური, ტელევიზია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, სახალხო დამცველის აპარატი, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული სფეროების უსაფრთხოების დეპარტამენტი არასამთავრობო ორგანიზაციები | 2003-2005 |
| | 3. ინფორმაციის გავრცელება სექსუალური ექსპლუატაციის დროს ჯანმრთელობის რისკთან დაკავშირებით | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ტელევიზია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები | 2003-2005 |
| | 4.უზრუნველყოფილ იქნეს სკოლის მოსწავლეებისათვის | საქართველოს განათლების სამინისტრო | 2003-2004 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება<br><br>5. გამკაცრდეს მხატვრული კოლექტივებისა და ანსამბლების წევრების უცხოეთში გამგზავრების კონტროლი აღნიშნულ ჯგუფებში შემთხვევითი პირების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად<br><br>6. გამოცხადდეს დრამატურგთა და სცენარისტთა კონკურსი ტრეფიკინგის თემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების შესაქმნელად, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნება აღნიშნული პრობლემის ამსახველი ფილმებისა და სპექტაკლების დადგმის განხორციელება. | <br><br><br>საქართველოს კულტურის სამინისტრო<br><br><br><br>საქართველოს კულტურის სამინისტრო | <br><br><br>2003-2005<br><br><br><br>2003-2005 |
| | 7. მოეწყოს სპეციალური ტრენინგები ტრეფიკინგის | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს | 2003-2005 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შესახებ მოსამარ-თლეების, სოციალური მუშაკების, სამედიცინო პერსონალის, პედაგოგების, დიპლომატების, საკონსულოს თანამშრომლების, საბაჟო სამსახურის და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის პერსონალის, პოლიციელებისა და ჟურნალისტებისა-თვის<br><br>8.შემუშავდეს ტრეფიკინგის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის ეთიკური ნორმები. | შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი, საბაჟო დეპარტამენტი, საქართველოს განათლების სამინისტრო, ტელევიზია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, არასამთავრობო ორგანიზაციები | <br><br>2003-2005 |
| 3. ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარება | 1.საერთაშორისო დამხმარების მოძიება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მიმღები პუნქტებისა და თავშესაფრების შესაქმნელად, ტრეფიკინგის დანაშაულში მონაწილეთა ქონების კონფისკაციით მიღებული სახსრებით ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების | არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა | 2003-2005 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება<br><br>2.ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის სოციალური, ფსიქოლოგიური, ჯანმრთელობის დაცვის რეაბილიტაციისა და იურიდიული დახმარების პროგრამების შემუშავება<br><br>3.ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის შექმნის ხელშეწყობა და მხარდაჭერა. | <br><br><br><br><br><br>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატი<br><br>ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი კომისია, სახალხო დამცველის აპარატი, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული სფეროების უსაფრთხოების დეპარტამენტი | <br><br><br><br><br><br>2003-2005<br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br><br>2003-2005 |
| 4. ტრეფიკინგში დამნაშავე პირთა სამართლებრივი დევნა და მათი დასჯა | 1.შეიქმნას ტრეფიკინგთან ბრძოლის სტრუქტურული ქვედანაყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 2003 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 2.ტრეფიკინგში დამნაშავე პირთა სამართლებრივი დევნა და მათი დასჯა, მსხვერპლთა დაცვის სისტემის შემუშავება წინასწარი გამოძიების, სასამართლოს მსვლელობისას და მას შემდეგ<br><br>3.შეიქმნას იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მონაცემების საინფორმაციო ბანკი, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების ჩატარების, წინასწარი გამოძიების, სასამართლო განხილვის შედეგად ინტერპოლიდან და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსული ინფორმაციის მიხედვით შემჩნეული არიან ტრეფიკინგის დანაშაულის ჩადენაში ან მის მცდელობაში. | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო, საქართველოს პროკურატურა | 2003-2005<br><br>2003-2005 |
| 5.შესრულებული მუშაობის სისტემური მონიტორინგი | 1.განხორციელდეს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის ტრანსნაციონალური | ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი კომისია, ეროვნული უშიშროების | 2003-2005 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის, ადამიანებით ტრეფიკინგის წინააღმდეგ ოქმის და ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტების მოთხოვნათა შესრულების მონიტორინგი | საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული სფეროების უსაფრთხოების დეპარტამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები | |
| | 2.ტრეფიკინგის შემთხვევების აღრიცხვა, ტრეფიკინგის მუხლით აღძრული საქმეების მონიტორინგი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის საბჭო, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული სფეროების უსაფრთხოების დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი | 2003-2005 |
| | 3.გაწეული მუშაობის | | 2003-2005 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | შესახებ ინფორმაციის მოგროვება და მათი ყოველწლიური ანალიზი (აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთაც ევალებათ გეგმის განხორციელებაში მონაწილეობა, ქალთა განვითარების პოლიტიკის შემმუშავებელ სახელმწიფო კომისიას წარუდგენენ წლიურ ანგარიშს გეგმის განსახორციელებლად გაწეული მუშაობის შესახებ). | კომისია, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა დაცვის, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული სფეროების უსაფრთხოების დეპარტამენტი | |